# ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი 28 მარტი 2012 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით მახარობლიშვილი, დავით აბულაძე, გია აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე.

მოწვეულები: ო. ჯაფარიძე, გ. მეგრელიშვილი, მ. ბოლქვაძე, რ. ტყემალაძე, ნ. ახვლედიანი, ვ. ცომაია, ნ. სიხარულიძე, დ. მესტვირიშვილი, ნ. შატბერაშვილი, მ. ტალახაძე, დ. მესხი, რ. ვაჭარაძე, მ. მახარაშვილი, მ. მახათაძე, რ. ხვედელიძე, ნ. ჩხარტიშვილი.

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

**43.** ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №36-ში, მეტროსადგურ "სამგორის" ზედა მისასვლელის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.010.046) კომერციული დანიშნულების ობიექტის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების პირობით გაცემის შესახებ.

**44.** ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, კავსაძის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.003.013) მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

## მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

1. ო. ჯაფარიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ.

განმცხადებელი – ო. ჯაფარიძე.

**აზრი გამოთქვეს:**

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. დარღვეულია გრგ-ს ერთიანი გადაწყვეტა, ქალაქგეგმარებითი კუთხით მიუღებელია წარმოდგენილი ვარიანტი.
- არ არის მისაღები. ტერიტორიის განვითარება მიკრორაიონის ტიპით რომლის მშენებლობაც უნდა განვითარდეს ე.წ. „ტენტური" მეთოდით მიუღებელია, ამასთან სასურველია გათვალისწინებული იყოს ძველი გრგ-ს პრინციპი.
- არ არის მისაღები. წარმოდგენილ მასალაში ვერ წაიკითხე კვარტალური დაგეგმარების პრინციპი. ალბად ეს უფრო მიკრორაიონული და რაიონული დაგეგმარების პრინციპებზეა აგებული. შესაბამისად ტერიტორიის გეგმარება აუცილებელია.
- არ არის მისაღები. მიუღებელია ქალაქგეგმარებითი პრინციპები. საჭიროა გათვალისწინებული იყოს ტერიტორიის თავისებურებები. მნიშვნელოვანია ტერიტორიის ფუნქციური ზონირება იმდაგვარად, სადაც გააზრებული იქნება მტკვრის ხეობა.
- არ არის მისაღები. პროექტი ტოვებს შთაბეჭდილებას გასული საუკუნის 70-იანი წლების სოციალიზმს!!! (სამწუხაროდ) და დარღვეულია წინა გრგ-ს პრინციპი.
- არ არის მისაღები. საბჭოზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განმეორებითი განხილვა სათანადო კონსულტაციების გავლის შემდგომ ინვესტორებთან. სასურველია შეთანხმებული გრგ-ს მაქსიმალური შენარჩუნება.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმებაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

**42.** ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თემქაზე, ანაპის ქუჩაზე, მოხუცებულთა პანსიონატის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.04.002.019) I კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ზ. გაბუნია.
დადგენილი ზონის სახეობა - სარეკრეაციო ზონა 2.

**აზრი გამოთქვეს:**

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია სზ1-ის პარამეტრებით: კ1=0,5, კ2=0,8.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

**მიეცეს თანხმობა** ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, თემქაზე, ანაპის ქუჩაზე, მოხუცებულთა პანსიონატის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.04.002.019) I კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით: კ1=0,5, კ2=0,8, კ3=0,3.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

**43.** ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №36-ში, მეტროსადგურ "სამგორის" ზედა მისასელელის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.010.046) კომერციული დანიშნულების ობიექტის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების პირობით გაცემის შესახებ.

განმცხადებელი – ნ. ნამორაძე.
დადგენილი ზონის სახეობა - სარეკრეაციო ზონა 1.
მოთხოვნილი ზონის სახეობა – საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2.

**აზრი გამოთქვეს:**

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №36-ში, მეტროსადგურ "სამგორის" ზედა მისასვლელის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.10.010.046) კომერციული დანიშნულების ობიექტის განთავსების მიზნით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებისა და ქალაქთმშენებლობითი პირობების პირობით გაცემაზე.

2. გაეწიოს რეკომენდაცია ქ. თბილისის მერს წარუდგინოს ქ. თბილისის საკრებულოს განსახილველად საკითხი ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილის №36-ში, მეტროსადგურ "სამგორის" ზედა მისასვლელის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.10.010.046) ფუნქციური ზონის სახეობა სარეკრეაციო ზონა 1-ის, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით შეცვლის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 1.

**44.** ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, კავსაძის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.003.013) მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ალ. კორძახია.
დადგენილი პარამეტრები – კ2=2,2.
მინიჭებული პარამეტრები – კ2=3,2.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=3,6.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, კავსაძის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.003.013) მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,6.

რეკომენდაცია: კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის

დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე არისი ბოჭოიძე

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი კახაბერ ნიაური


სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-I)
14.03
4.03
5.27
7.22
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
13-15
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-I)
სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-I)
კახეთის